სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	1. ზუგდიდი - კოლხი რაინდები - 19/09/2023 2. კოლხი რაინდები - ჯანი - 01/10/2023 3. მეკობრეები -კოლხი რაინდები - 08/10/2023 4. კოლხი რაინდები - აიეტი - 28/10/2023 5. ფენიქსი - კოლხი რაინდები - 04/11/2023 6. კოლხი რაინდები - ზუგდიდი - 11/11/2023 7. აიეტი - კოლხი რაინდები - 16/03/2024		
გუნდი	ფოთის „კოლხი რაინდები“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	1. 19/09/2023 2. 01/10/2023 3. 08/10/2023 4. 28/10/2023 5. 04/11/2023 6. 11/11/2023 7. 16/03/2024	მატჩის ადგილი	1. ზუგდიდი 2. ფოთი, პარკი არენა 3. ბათუმი 4. ფოთი, პარკი არენა 5. სამტრედია 6. ფოთი, პარკი არენა 7. ვანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ფოთის „კოლხი რაინდები“		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☒პიროვნება	ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტი - მალხაზ ჯინჭარაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3. ფიქსირებული სანქციები. 2. **თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის მონაწილეობა თამაშში.**	☐ **წითელი ბარათი** ☒ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	01/04/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაიძე		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		**აღნიშნეთ ვინ**	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	1. ზუგდიდი - კოლხი რაინდები - 19/09/2023 მატჩის ოქმი 2. კოლხი რაინდები - ჯანი - 01/10/2023 მატჩის ოქმი 3. მეკობრეები -კოლხი რაინდები - 08/10/2023 მატჩის ოქმი 4. კოლხი რაინდები - აიეტი - 28/10/2023 მატჩის ოქმი 5. ფენიქსი - კოლხი რაინდები - 04/11/2023 მატჩის ოქმი 6. კოლხი რაინდები - ზუგდიდი - 11/11/2023 მატჩის ოქმი 7. აიეტი - კოლხი რაინდები - 16/03/2024 მატჩის ოქმი **8.** ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტის, მალხაზ ჯინჭარაძის საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. ზუგდიდი - კოლხი რაინდები - 19/09/2023 მატჩის ოქმი
2. კოლხი რაინდები - ჯანი - 01/10/2023 მატჩის ოქმი
3. მეკობრეები -კოლხი რაინდები - 08/10/2023 მატჩის ოქმი
4. კოლხი რაინდები - აიეტი - 28/10/2023 მატჩის ოქმი
5. ფენიქსი - კოლხი რაინდები - 04/11/2023 მატჩის ოქმი
6. კოლხი რაინდები - ზუგდიდი - 11/11/2023 მატჩის ოქმი
7. აიეტი - კოლხი რაინდები - 16/03/2024 მატჩის ოქმი
8. „კოლხი რაინდები“-ს მოთამაშის, ლევან ქარაიას პიროვნების და სრკ-ში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
   ა) ლევან ქარაიას სრკ-ში რეგისტრაციის ფორმა(„ბ“ ლიგა 2022-2023 სათამაშო სეზონი);
   ბ) თბ „ლელო“ - ფოთის „კოლხი რაინდები“-ს „ბ“ ლიგის 2022/2023 სათამაშო სეზონის მატჩის ოქმი;
   გ) ლევან ქარაიას დაბადების მოწმობა;
   დ) ვლადიმერ მჭედლიშვილის(ლევან ქარაიას მამა) პირადობის მოწმობა;
   ე) ლევან ქარაიას სურათები მისი „ფეისბუკ“ გვერდიდან, სადაც ის ლევან მჭედლიშვილად(მამის გვარით) არის რეგისტრირებული;
9. ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტის, მალხაზ ჯინჭარაძის საითინგი;
10. სრკ-ს მარეგისტრირებელის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის 27/03/2024 წერილი (ელ.ფოსტა)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მენეჯერი, როლანდ ჩაჩავა -

1. როლანდ ჩაჩავამ დაადასტურა, რომ საითინგში აღნიშნულმა მოთამაშემ მარლენ გადელიამ, მიიღო მონაწილეობა საითინგში აღნიშნულ თამაშებში. როლანდ ჩაჩავას განცხადებით, მარლენ გადელიას დარეგისტრირება პირადად მას გამორჩა.
2. როლანდ ჩაჩავას განცხადებით საითინგში აღნიშნული „კოლხი რაინდები“-ს მეორე მოთამაშე, ლევან მჭედლიშვილი იგივე ლევან ქარაიაა რომელიც რეგისტრირებულია სრკ-ში შესაბამისი წესების დაცვით. გაუგებრობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ლევან მჭედლიშვილი დედის გვარზე ქარაიაზე გადავიდა, ხოლო გუნდში მას ძველი გვარით იცნობენ. როლანდ ჩაჩავამ სადისციპლინო კომისიას წარუდგინა ამ ფაქტის დამადასტურებელი მასალები;
3. როლანდ ჩაჩავას განცხადებით საითინგში აღნიშნული „კოლხი რაინდები“-ს მოთამაშე ნოდარ გურგენიძე „კოლხი რაინდები“-ში არ არის რეგისტრირებული როგორც შერკინების პირველ ხაზელი მოთამაშე და ეს ადვილი გადასამოწმებელია სრკ-ს მოთამაშეთა რეგისტრატორთან.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტის, მალხაზ ჯინჭარაძის საითინგი - ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტის მალხაზ ჯინჭარაძის განცხადებით, მიმდინარე სეზონის განმავლობაში, 6 თამაშში :
   ზუგდიდი - კოლხი რაინდები - 19/09/2023
   კოლხი რაინდები - ჯანი - 01/10/2023
   მეკობრეები -კოლხი რაინდები - 08/10/2023
   კოლხი რაინდები - აიეტი - 28/10/2023
   ფენიქსი - კოლხი რაინდები - 04/11/2023
   კოლხი რაინდები - ზუგდიდი - 11/11/2023

ფოთის „კოლხი რაინდები“-ს შემადგენლობაში თამაშში მონაწილეობა მიიღო არარეგისტრირებულმა მოთამაშემ მარლენ გადელიამ.

2. ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტის მალხაზ ჯინჭარაძის განცხადებით, მიმდინარე სეზონის განმავლობაში, ერთ თამაშში, „აიეტი - „კოლხი რაინდები“(16/03/2024), ფოთის „კოლხი რაინდები“-ს შემადგენლობაში თამაშში მონაწილეობა მიიღო სრკ-ში არარეგისტრირებულმა მოთამაშემ ლევან მჭედლიშვილმა;
3. ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტის მალხაზ ჯინჭარაძის განცხადებით, „კოლხი რაინდები“-ს მოთამაშე ნოდარ გურგენაძე თავდაპირველად სრკ-ში იყო რეგისტრირებული როგორც შერკინების პირველხაზელი მოთამაშე. სათამაშო სეზონის მიმდინარეობისას მას შეუცვალეს შერკინების პირველხაზელი მოთამაშის სტატუსი, რითაც „კოლხი რაინდებმა“ პირველხაზელი მოთამაშეების დეფიციტის გამო სათამაშო სეზონის მიმდინარეობისას ისარგებლა სრკ-ში პირველხაზელი მოთამაშეების რეგისტრაციის გამოკლისის წესით რეგისტრაციის უფლებით და დაარეგისტრირეს პირველხაზელი მოთამაშე დავით ბარბაქაძე. მალხაზ ჯინჭარაძის განცხადებით, „კოლხ

რაინდებში“ არასწორად რეგისტრირებულმა პირველხაზელმა მოთამაშემ დავით ბარბაქაძემ სამ მატჩში ითამაშა „კოლხი რაინდები“-ს შემადგენლობაში.

4. სრკ-ს მარეგისტრირებელის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის წერილი 27/03/2024 (ელ.ფოსტა) - მალხაზ ჯინჭარაძის (ლელო რაგბის კლუბი ჯანის პრეზიდენტი) საიტინგზე გიგზავნით პასუხს:
    - მარლენ გადელია ფოთის კოლხ რაინდებში რეგისტრირებულია 26/01/2024 თარიღით, მაქამდე ფიქსირდება ამ სამატჩო ოქმებში:
      17/09/2023: ზუგდიდი - ფოთი 7) მარლენ გადელია
      01/10/2023: ფოთი - ჩოხატაური 4) მარლენ გადელია
      08/10/2023: მეკობრეები - ფოთი 4) მარლენ გადელია
      28/10/2023: ფოთი - ვანი 4) მარლენ გადელია
      04/11/2023: სამტრედია - ფოთი 4) მარლენ გადელია
      11/11/2023: ფოთი - ზუგდიდი 4) მარლენ გადელია
    - ლევან მჭედლიშვილი არ არის რეგისტრირებული არც რეგიონ ლიგის და არც ბ ლიგის განაცხადში ფიქსირდება სამატჩო ოქმში:
      16/03/2024: ვანი - ფოთი 21) ლევან მჭედლიშვილი (შეცვალა 9 ნომერი)
    - სამედიცინო ჯოკერთან დაკავშირებით: საითინგში აღნიშნული მოთამაშე - ნოდარ გურგენაძე რეგისტრირებულია როგორც მესამე ხაზელი (6-7-8), შესაბამისად მას პირველ'ხაზელი სტატუსი არ ქონია და არც შეუცვლიათ.
      მეილს ვურთავ მარლენ გადელიას და ნოდარ გურგენაძის რეგისტრაციას და ასევე ორიგინალ საითინგს

სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების და მხარეთა განცხადებების შესახებ და გამოარკვია:

1. ჩოხატაურის „ჯანი“-ს პრეზიდენტის, მალხაზ ჯინჭარაძის საითინგი აკმაყოფილებს სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.21[1] პუნქტის (**თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის თამაშში მონაწილეობის სავარაუდო ფაქტის შემთხვევაში, პიროვნებებმა წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები ტურნირის/მატჩის ორგანიზატორს და/ან სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს : ა) კონკრეტული შეჯიბრების რეგულარული ჩემპიონატის (ბოლო ტურის) დამთავრების თარიღიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.**) პირობებს, კერძოდ : სრკ-ს სადისციპლინო სამსახურში საითინგი შემოვიდა 2024 წლის 27 მარტს, ხოლო სრკ-ს მიერ ორგანიზებული რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის თარიღია 30-31/03/2024.
2. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მოთამაშე მარლენ გადელია, სრკ-ში რეგისტრირებულია 2024 წლის 26 იანვარს. ხოლო მონაწილეობა მიიღო რეგისტრციამდე სრკ-ს მოთამაშეთა რეგისტრატორის ნიკა გიგინეიშვილის წერილში აღნიშნულ თამაშებში.
3. სრკ-ს მოთამაშეთა რეგისტრატორის ნიკა გიგინეიშვილის წერილში აღნიშნული თამაშებიდან 2(ორი) მათგანში - 01/10/2023: კოლხი რაინდები - ჯანი და 04/11/2023: ფენიქსი - კოლხი რაინდები, ფოთის „კოლხ რაინდებს“ ანალოგიური დარღვევისთვის სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 13/11/2023 გადაწვეტილებით ჩაეთვალა წაგება. ამ გარემოებიდან გამომდინარე სადისციპლინო კომისია განმარტავს, რომ ვინაიდან ზემოხსენებულ თამაშებზე ფოთის „კოლხი რაინდები“ უკვე დაისაჯა და ჩაეთვალა წაგება, სადისციპლინო კომისია აღარ განიხილავს ხელმეორედ იმავე საქმეებს რაზეც გადაწყვეტილებები უკვე აქვს მიღებული. „კოლხ რაინდებს“ შესაბამისი სანქცია დაეკისრება დარჩენილ 4(ოთხი) თამაშში არარეგისტრირებული მოთამაშის თამაშში მონაწილეობის გამო.

4. სადისციპლინო კომისია დამაჯერებლად მიიჩნევს ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მენეჯერის მიერ წარმოდგენილ მასალებს მთამაშე ლევან ქარაიას იდენტიფიცირების შესახებ. კერძოდ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ლევან ქარაია და ლევან მჭედლიშვილი ერთიდაიგივე პიროვნებაა.
5. სრკ-ს მოთამაშეთა რეგისტრატორის, ნიკა გიგინეიშვილის წერილის მიხედვით ირკვევა, რომ „კოლხი რაინდები“-ს მოთამაშე ნოდარ გურგენაძე 2023-2024 წლის სათამაშო სეზონში არ ყოფილა რეგისტრირებული როგორც **შერკინების პირველხაზელი** მოთამაშე „კოლხ რაინდებში“. შესაბამისად „კოლხ რაინდებში“ გამონაკლისის წესით რეგისრტირებული პირველხაზელი მოთამაშე დავით ბარბაქაძე მართებულად არის რეგისტრირებული სრკ-ში.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ, კომისიამ დადგენილად ცნო:

1. 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) მატჩებში:
   ზუგდიდი - კოლხი რაინდები - 19/09/2023
   კოლხი რაინდები - ჯანი - 01/10/2023
   მეკობრეები -კოლხი რაინდები - 08/10/2023
   კოლხი რაინდები - აიეტი - 28/10/2023
   ფენიქსი - კოლხი რაინდები - 04/11/2023
   კოლხი რაინდები - ზუგდიდი - 11/11/2023
   ფოთის „კოლხი რაინდები“-ს შემადგენლობაში თამაშში მონაწილეობა მიიღო არარეგისტრირებულმა მოთამაშემ, მარლენ გადელიამ.
2. ზემოჩამოთვლილი თამაშებიდან ფოთის „კოლხი რაინდები“ 2(ორი) მათგანში - 01/10/2023: კოლხი რაინდები - ჯანი და 04/11/2023: ფენიქსი-კოლხი რაინდები, სრკ-ს სადისციპლინო კომისიის 13/11/2023 გადაწვეტილებით სანქცირებულია „სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3. ფიქსირებული სანქციები. **თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის მონაწილეობა თამაშში.“**-ს შესაბამისად.
3. არარეგისტრირებული მოთამშის თამაშში მონაწილებით ფოთის „კოლხმა რაინდებმა“ დაარღვია სკრ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი#3-ს - „**ფიქსირებული სანქციები - 2. თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის მონაწილეობა თამაშში.“** პუნქტი, რომლის დარღვევისთვისაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულია ფიქსირებული სანქციები. კერძოდ : „დამრღვევ გუნდს, ჩაეთვლება წაგება ყველა იმ თამაშში რომელშიც მონაწილეობა მიიღო თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშემ და დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა. ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება მოგება, მიენიჭება შესაბამის შეჯიბრში შესაძლო მოსაპოვებელი ქულების მაქსიმალური ოდენობა და ანგარიში დაფიქსირდება 30:0 მის სასარგებლოდ.“ და „ჭაბუკთა და რეგიონალურ ლიგებში - 500(ხუთასი) ლარით. ალტერნატიული სანქცია (ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში), 2 (ორი) საცხრილო ქულის დაკლება“

დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო

გადაწყვეტილება

1. 19/09/2023 გამართულ მატჩში ზუგდიდის“ზუგდიდი“-სა - ფოთის „კოლხი რაინდებს“ შორის, ფოთის „კოლხ რაინდებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ხოლო ზუგდიდის „ზუგდიდს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ;
2. 08/10/2023 გამართულ მატჩში ბათუმის „მეკობრეები“-სა და ფოთის „კოლხ რაიდებს“ შორის, ფოთის „კოლხ რაინდებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ხოლო ბათუმის „მეკობრეებს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ;
3. 28/10/2023 გამართულ მატჩში ფოთის „კოლხი რაინდები“-სა და ვანის „აიეტს“ შორის, ფოთის „კოლხ რაინდებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
4. 11/11/2023 გამართულ მატჩში ფოთის „კოლხი რაინდები“-სა და ზუგდიდის „ზუგდიდს“ შორის, ფოთის „კოლხ რაინდებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ხოლო ზუგდიდის „ზუგდიდს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ;
5. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მხრიდან ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, ფოთის „კოლხ რაინდებს“ რეგიონალურ ლიგაში დამატებით დააკლდება 8(რვა) საცხრილო ქულა.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	01/04/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]